საქართველოს პრეზიდენტის

ბრძანებულება №573

1996 წლის 31 აგვისტო

ქ. თბილისი

საქართველოს განათლების სისტემის მუშაკთა საქართველოს ორდენებითა და მედლებით დაჯილდოების შესახებ

საქართველოს განათლების სფეროში ნაყოფიერი მუშაობისა და მოსწავლე ახალგაზრდობის აღზრდა-განათლების საქმეში შეტანილი დიდი წვლილისათვის საქართველოს ორდენებითა და მედლებით დაჯილდოვდნენ განათლების სისტემის მუშაკები:

ღირსების ორდენით:

შოთა აბაიშვილი – თბილისის პირველი საშუალო სკოლის ყოფილი მასწავლებელი;

ალექსანდრე გვახარია – თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის კათედრის გამგე, პროფესორი;

დავით გონდაური – თბილისის მე-5 გიმნაზიის მათემატიკის მასწავლებელი;

თინათინ ჯავახიშვილი – თელავის მე-4 საშუალო სკოლის დირექტორი;

ღირსების მედლით:

რევაზ ბაკურაძე – გაგრის 113-ე პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლის საწარმოო სწავლების ოსტატი;

ლალი გულისაშვილი – თბილისის მე-6 გიმნაზიის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი;

როზა დევდარიანი – ქუთაისის ჰუმანიტარული ლიცეუმის ქართული ენის მასწავლებელი;

მიხეილ მინდაძე – თბილისის 27-ე საავტორო სკოლის დირექტორი;

მერი ოქროპირიძე – ბათუმის პირველი ქართული გიმნაზიის დაწყებითი კლასების მასწავლებელი;

ლუდმილა პოდოლსკაია – თბილისის ბუნებათსარგებლობის პროფესიული სასწავლებლის რუსული ენის მასწავლებელი;

არჩილ ფრანგიშვილი – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი;

ალექსანდრე ქათამაძე – ხულოს საშუალო სკოლის ფიზიკის მასწავლებელი;

ნიკოლოზ ჩხაიძე – თბილისის ფიზიკა-მათემატიკის სკოლა-ინტერნატის ფიზიკის მასწავლებელი;

ცაცა ცუცქირიძე – სურამის საბავშვო ბაღის აღმზრდელი.

ე. შევარდნაძე